<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 15.07.1998, გვ. 14) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 - მე-6 პუნქტები:

„4. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის მიერ, შეიძლება მიღებული იქნას გადაწყვეტილება მსგავსი ფუნქციის/შესაბამისი გვარეობის თანამდებობაზე სამხედრო მოსამსახურის გადაყვანის შესახებ, რომლის შესრულება სამხედრო მოსამსახურისათვის სავალდებულოა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი გადაადგილება დასაშვებია, თუ სამხედრო მოსამსახურეს განათლებისა (კვალიფიკაცია) და შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები.

6. სამხედრო მოსამსახურის სამსახურებრივი გადაადგილების სხვა შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის ბრძანებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**